საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლევან ნემსაძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**22**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**7**	**10**
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**89**	**100**

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

თარიღი: 26.06.2025

ლევან მიქაბერიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ლევან ნემსაძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, ამავე სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 16 მაისის №1/38 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდა ლევან ნემსაძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[7] მუხლით გათვალისწინებული წესით, კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას გაცეცანი სრულყოფილად.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი: ლევან ნემსაძე
ასაკი: 45 წელი
განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ) სპეციალობით
მუშაობის გამოცდილება: 14 წელი
სამუშაო ადგილი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (არამოსამართლე წევრი).

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

აღნიშნული კრიტერიუმით შეფასებისას გათვალისწინებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა (35[1] მუხლის მე-4 პუნქტი).

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის დამოუკიდებლობას, სამართლიანობას, გულისხმიერებას, ანალიტიკურ აზროვნებას, საქმისადმი სიყვარულს, კორექტულობას, თვითგანვითარების უნარს, კომპეტენტურობას და სხვა დადებით თვისებებს.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად/საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად. ერთ შემთხვევაში, რესპოდენტს ერთ-ერთ მახასიათებელში უჭირს შეფასება.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად/საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად. ერთ-ერთ რესპოდენტს კომპეტენტურობის ერთ-ერთ მახასიათებელში უჭირს შეფასება.

კანდიდატი სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს საკუთარ მოვალეობებს. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა. არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ლევან ნემსაძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ექვსი ფაქტი (დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, კანდიდატის სახელზე არ შედგენილა არცერთი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი.

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა (35[1] მუხლის მე-5 პუნქტი).

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კანდიდატი თავდაჯერებული და პრინციპული პიროვნებაა. შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და არის ზეგავლენის მიმართ მედეგი.

რაც შეეხება პოლიტიკურ თუ სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას, მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი. მედია სივრცეში ვრცელდება ინფორმაცია მისი საბჭოს წევრად არჩევასთან დაკავშირებით.

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის მიუკერძოებლობის, პრინციპულობის, სამართლიანობის შესახებ. იგი არის ძალიან პრინციპული და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. არ ექვემდებარება ზეგავლენას, არის პიროვნულად მტკიცე და და შეუვალი უსამართლობის მიმართ.

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული ქცევა

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა (35[1] მუხლის მე-6 პუნქტი).

კანდიდატი არის მშვიდი, თავაზიანი და კორექტული. კარგად მართავს საკუთარ ემოციებს. საჯარო მოსმენისას კანდიდატმა გამოავლინა თავდაჭერილობისა და საკუთარი ემოციების მართვის კარგი უნარი. მოქმედებს ეთიკური ქცევის პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატ ლევან ნემსაძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული

საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ მოიძებნა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით -კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის სასიათი და ხარისხი და სხვა (35[1] მუხლის მე-7 პუნქტი).

რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატს ახასიათებენ დადებითად. იგი სარგებლობს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში, ასევე ზოგადად იურიდიულ წრეებში. მას გააჩნია იურიდიულ სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება. გააჩნია კარგი ავტორიტეტი ამ სფეროში მოღვაწე მასთან პროფესიულ ურთიერთობაში მყოფ პირებში. ინტერნეტსივრცეში გავრცელებულია სხვადასხვა ინფორმაცია ლევან ნემსაძის შესახებ, მის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად არჩევასთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილებასთან დაკავშირებით. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით.

რეკომენდატორები გამოარჩევენ მის თავაზიანობასა და პატიოსნებას. პროფესიულ წრეებში კანდიდატი სარგებლობს განსაკუთრებული ავტორიტეტით. ურთიერთობაში გამოირჩევა არამარტო კორექტული, არამედ აქვს განსაკუთრებული უნარი მართოს საკუთარი ემოციები და ამასთანავე კოლეგებში გამოიწვიოს მისი პიროვნების და მისი ქცევის მიმართ პატივისცემა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

დასკვნა - კეთილსინდისიერების ყველა კრიტერიუმის მახასიათებლით შემოწმებისას ლევან ნემსაძე შევაფასე სრულად დადებითად, რის გამოც მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

აღნიშნული კრიტერიუმით შეფასებისას გათვალისწინებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლები:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა;

სამართლის ნორმების ცოდნა

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე (35[1] მუხლის მე-9 პუნქტი).

საჯარო მოსმენისას საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს სამართლებრივი შეკითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან. გავაანალიზე საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიმართ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები, რაც საფუძველს მაძლევს დასკვნისათვის, რომ კანდიდატი ძალიან კარგად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებს. იგი ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული. ცალკეულ შემთხვევაში, გამოვლინდა გარკვეული ხასიათის ხარვეზები. კანდიდატმა წარმოადგინა სამართლებრივი ნაშრომი - თემაზე: „აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი უნდა შეფასდეს - 22 ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება (35[1] მუხლის მე-10 პუნქტი).

წარმოდგენილ სამართლებრივი ნაშრომის გაცნობის შედეგად დგინდება, რომ კანდიდატს გააჩნია სამართლებრივი ნორმის მართებულად განმარტების უნარი. შეუძლია ნათლად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავისი აზრი. დამაჯერებლად ასაბუთებს პოზიციას. ჩამოყალიბებული აქვს სწორი ანალიტიკური და სამართლებრივი აზროვნების უნარი. მას აქვს სხვადასხვა სფეროში და თანამდებობაზე მუშაობის 14 წლიანი პროფესიული გამოცდილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 22 ქულით.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი:

წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ წერილობითი აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა (35[1] მუხლის მე-11 პუნქტი).

ლევან ნემსაძის სამართლებრივი დოკუმენტის გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ დოკუმენტი სტილისტურად გამართულია, კანდიდატი აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, შინაარსი ადვილად აღსაქმელია და რედაქციული შეცდომები არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება ზეპირი კომუნიკაციის უნარს, ის ყოველთვის ღიაა, აქვს განსაკუთრებული უნარი მოთმინებით მოუსმინოს სხვის აზრს, მათ შორის არამარტო მისთვის განსხვავებულს, არამედ მიუღებელ აზრსაც კი.

კანდიდატმა საჯარო მოსმენის დროს გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, მეტყველებდა მშვიდად და გამართულად. დასმულ შეკითხვებს აღიქვამდა სწორად, აზრს გადმოსცემდა არგუმენტირებულად და დამაჯერებლად. მიმაჩნია, რომ შესწევს განსხვავებული აზრის მოსმენის უნარიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 18 ქულით.

პროფესიული თვისებები:

კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა (35[1] მუხლის მე-12 პუნქტი).

კანდიდატი მშვიდი, გაწონასწორებული, პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მოწესრიგებული პიროვნებაა. აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. არის მიზანდასახული, გააჩნია მენეჯერული უნარ-ჩვევები და მისი ეს თვისებები განსაკუთრებით თვალსაჩინოა სწორედ სტრესულ გარემოში. კანდიდატი არის მაღალი ხნეობრივი და მორალური თვისებების მქონე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატი უნდა შეფასდეს - 15 ქულით.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის

პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა (35[1] მუხლის მე-13 პუნქტი).

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული ტრენინგში /05.04.2016წ. – 07.04.2016წ. ბორჯომი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ მიერ ორგანიზებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სისტემის რეფორმის სტრატეგიის შემუშავების სამუშაო შეხვედრა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ აკადემიური მიღწევებისა პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 7 ქულით.

პროფესიული აქტივობა

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა (35[1] მუხლის მე-14 პუნქტი).

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კანდიდატს არ აქვს გამოქვეყნებული სტატია/მონოგრაფი. კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2023 წლის 24 სექტემბერი). 2024 წლიდან კანდიდატი არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სასწავლო ღონისძიებაში. კარგად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი პროფესიულად არის აქტიური. იგი ღიაა სიახლეების მიმართ და ცდილობს თვითგანვითარებას. შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას იყენებს საქმიანობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 5 ქულით.

დასკვნა კანდიდატის კომპეტენტურობის შესახებ

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, კანდიდატ ლევან ნემსაძეს ვაფასებ - 89 ქულით.

ლევან მიქაბერიძე

თარიღი: 26.06.2025წ.